



ქალაქ თბილისის
საკრებულო

www.tbsakrebulo.gov.ge

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის ანგარიში

2022

წლიური ანგარიში



თავმჯდომარის მიმართვა

დიდი პატივია იყო საკრებულოს წევრი, ატარო ეს მანდატი და იმუშაო ქალაქის კეთილდღეობისთვის. ქალაქის ინტერესებიდან გამომდინარე თანამშრომლობა საკრებულოს წარმატებული და ნაყოფიერი მუშაობის საფუძველია, რაც აისახება დედაქალაქის ყოველდღიურობაზე. ძალიან მნიშვნელოვანია საკრებულოს თითოეული წევრის წვლილი ქალაქისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე მსჯელობაში, იმისთვის, რომ მივიღოთ ქალაქის სწორად განვითარებისთვის შესაბამისი გადაწყვეტილებები. მონიჭებული მანდატის განმავლობაში, ჩვენ, ყველანი ერთობლივად შევძლებთ განვახორციელოთ ჩვენი ქალაქისა და თანამოქალაქეებისთვის სასიკეთო საქმიანობა. დაგვჭირდება ერთობლივი მუშაობა იმისთვის, რომ წარმატებით დავძლიოთ ქალაქის წინაშე მდგარი გამოწვევები და ერთობლივად დავგეგმოთ ჩვენი ქალაქის საკეთილდღეო პროექტები.

მოცემული ანგარიში ასახავს იმ საქმიანობას, რაც გასული 1 წლის განმავლობაში საკრებულოში მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე იქნა განხორციელებული და ემსახურებოდა ჩვენი დედაქალაქის გაუმჯობესებას.

გიორგი ტყემალაძე

შინაარსი

თავმჯდომარის მიმართვა-----	2
თბილისის მუნიციპალიტეტის VI I მოწვევის საკრებულო-----	4
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი -----	12
ტრანსპორტი-----	13
ინფრასტრუქტურული პროექტები-----	17
ეკოლოგია და გამწვანება-----	23
ჯანმრთელობის დაცვა -----	29
მუნიციპალური ქონების მართვა-----	32
განათლება, კულტურა, სპორტი დ ახალგაზრდობა -----	33
გეოგრაფიული ობიექტების სახელდება-----	38
წარმომადგენლობითი ფუნქციები და საგარეო ურთიერთობები-----	40
წარმომადგენლობის საქმიანობა ვაკის სამაჟორიტარო ოლქში-----	45

თბილისის მუნიციპალიტეტის VII მოწვევის საკრებულო

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო – მუნიციპალიტეტის საკრებულო.

მუნიციპალიტეტის საკრებულო აირჩევა **4 წლის ვადით**, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეების მიერ, პირდაპირი არჩევნებით, საყოველთაო, თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.

2022 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები საარჩევნო კანონმდებლობაში განხორციელებული მნიშვნელოვანი ცვლილებებით ჩატარდა.

აღნიშნული ცვლილებების შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებზე, **4 წლის ვადით**, ამომრჩევლებმა აირჩიეს საქართველოს დედაქალაქის თბილისის თვითმმართველი ორგანოს – საკრებულოს **50 წევრი**. აქედან, **10 წევრი** – ადგილობრივი ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების ტერიტორიაზე, ხოლო **40 წევრი** – პროპორციული წესით თბილისის მთელ ტერიტორიაზე.

2021 წლის 3 დეკემბერს შედგა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის VII მოწვევის საკრებულოს სხდომა.

საკრებულომ თავისი შემადგენლობიდან, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების ვადით, სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით აირჩია მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

საკრებულოს უფლებამოსილება და საქმიანობა განისაზღვრება ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად.


საკრებულოს აპარატის ორგანიზაციული საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობა

საკრებულოს მუნიციპალიტეტის საქმიანობას ორგანიზაციულად უზრუნველყოფს საკრებულოს აპარატი.

საკრებულოს აპარატის ამოცანებია: საკრებულოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და მოადგილეების, საკრებულოს წევრების, კომისიების, ფრაქციების საქმიანობის ორგანიზაციული, იურიდიული, დოკუმენტური, საინფორმაციო, საფინანსო და მატერიალურ-ტექნიკური.

აპარატის საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს საკრებულოს თავმჯდომარე.

აპარატს ხელმძღვანელობს აპარატის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე, კონკურსის წესით ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საკრებულოს თავმჯდომარე.



VII მოწვევის საკრებულოში ფუნქციონირებს 11 კომისია და 4 ფრაქცია

საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების საქმიანობის შედეგად ხდება დედაქალაქის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება.



მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარდა:

- 15 სხდომა
- 17 ბიუროს სხდომა

საკრებულოს სხდომებზე განხილულ იქნა სულ: 762 საკითხი და მიღებული იქნა 649 განკარგულება და 113 დადგენილება.

საკრებულოს კომპეტენციების გათვალისწინებით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილებები დედაქალაქის მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით, მათ შორის:

- ურბანული განვითარება;
- ტრანსპორტი;
- ეკოლოგია და გამწვანება;
- სოციალური უზრუნველყოფა და ჯანდაცვა;
- განათლება, კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა;
- ეკონომიკური პოლიტიკა;
- მუნიციპალური ქონების მართვა;
- გეოგრაფიული ობიექტების სახელდება

საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად დედაქალაქში განხორციელდა და ხორციელდება მნიშვნელოვანი პროექტები და ღონისძიებები.



მუშაობა მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში

● ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისია

კომისიის მიზანია: ქალაქ თბილისის მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, სამშენებლო ბიზნესის სტიმულირება, საქალაქო მეურნეობის დარგების განვითარების პრიორიტეტების შესაბამისად, ინფრასტრუქტურის მოწყობის, განვითარებისა და რეაბილიტაციის პროგრამების დაგეგმვა და სამართლებრივი აქტების პროექტებისა და დასკვნების შემუშავება.

კომისიის საქმიანობა:

- * განიხილავს საკრებულოს მიერ დედაქალაქში ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის საკითხებს და ამზადებს შესაბამის დასკვნებს.
- * თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს და საკრებულოს წარუდგენს სამართლებრივი აქტების პროექტებს.
- * თავის საქმიანობას ახორციელებს დებულების, საკრებულოს რეგლამენტისა და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე

კომისიის შემადგენლობაშია მუნიციპალიტეტის საკრებულოს 13 წევრი

საანგარიშო პერიოდში საკრებულოს ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის მიერ გაიმართა 19 სხდომა

კომისიის ხდომებზე სულ განხილულია დღის წესრიგით გათვალისწინებული 335 საკითხი.

დედაქალაქის მიწათსარგებლობის ახალი გენერალური გეგმის იმპლემენტაციის პროცესში, კომისიის სხდომებზე დასამტკიცებლად განხილული და შესწავლილი იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის #39-18 დადგენილებაში განსახორციელებელი ფუნქციური ზონის 318 ცვლილება (დადებითი 304), დამატებითი შესწავლის მიზნით გადაიდო 13 ზონალური ცვლილება, უარი ეთქვა 1 ზონალურ ცვლილებას.

კომისიის სხდომებზე საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად განხილული და დამტკიცებულ იქნა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებების,

განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტებისა და განაშენიანების რეგულირების კორექტირებული გეგმების 163 პროექტი (1 უარი, 3 გადაიდო დამატებითი შესწავლის მიზნით).

დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით გაიცა 55 პროექტი.

ყოფილი საბინაო სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული კომპანიების კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ გაიცა 11 თანხმობა (განკარგულება).

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში შევიდა ცვლილებების 10 პროექტი.

ასევე კომისიის სხდომაზე განხილულ იქნა 26 სხვადასხვა დადგენილების პროექტი

ასევე საანგარიშო პერიოდში დამტკიცდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესი“. წესის მიზანია დედაქალაქის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლება ახალი და მდგრადი შენობა-ნაგებობებით, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო ქალაქთმშენებლობის უზრუნველყოფა და დედაქალაქის იერსახეზე ზრუნვა.

კომისიის სამდივნოში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი მოქალაქეთა და ორგანიზაცია-დაწესებულების განცხადება-წერილებზე მუშაობას (არქიტექტურული/ურბანული საკითხები, შიდა კვარტალური გზების, ეზოების, სკვერების, ბავშთა სპორტული მოედნების მოწყობის, ქალაქის სანიტარული დასუფთავების, მყარი მუნიციპალური ნარჩენების მართვის, მოქალაქეთა საბინაო, სოციალური და ყოფითი პირობების გაუმჯობესების საკითხებზე). საანგარიშო პერიოდში კომისიის სამდივნოში სულ შემოსული/განხილულია 115 წერილი/ განცხადება.

● ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისია

კომისიის შემადგენლობაშია მუნიციპალიტეტის საკრებულოს 7 წევრი

საანგარიშო პერიოდში საკრებულოს ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის მიერ გაიმართა 10 სხდომა

კომისიის ხდომებზე განხილულ იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული სხვადასხვა საკითხები.

● ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

2021 წლის 7 დეკემბრიდან 2022 წლის 1 ოქტომბრამდე ჩატარდა ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის 32 სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა კომისიის კომპეტენციაში შემავალი სხვადასხვა საკითხები, საერთო ჯამში 317 საკითი მათ შორის:

- განხილულ იქნა თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის წლიური და 2022 წლის 3 და 6 თვის ბიუჯეტის შესრულება.
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის № 4-7 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი. 7 პროექტი. მიღებული იქნა 6 დადგენილება.

საქმიანობა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციაში - „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“

VII მოწვევის საკრებულოს შემადგენლობაში შეიქმნა ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ რომელის შემადგენლობა განისაზღვრება 29 წევრით.

ფრაქციის საქმიანობას საფუძვლად უდევს შემდეგი პრინციპები:

- * ფრაქციის შექმნისა და საქმიანობის საჯაროობა
- * დამოუკიდებლობა და თვითმმართველობა
- * ფრაქციაში გაწევრიანებისა და ფრაქციიდან გასვლის ნებაყოფლობითობა
- * თანასწორობა კანონის წინაშე

ფრაქცია შემქნილია საერთო პლიტიკური შეხედულებების მქონე საკრებულოს წევრთა მიერ უფლებამოსილებების ეფექტურად განხორციელებისა და საქმიანობის კოორდინირებულად წარმართვის მიზნით.

ფრაქციის მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 23 სხდომა

ფრაქციის სხდომებზე განხილულ იქნა 42 საკითხი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი

დედაქალაქის მთავარმა ფინანსურმა დოკუმენტმა რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია. იგი თავდაპირველი რედაქციით **1 მილიარდ 305 მილიონ 418,2 ათასი** ლარით განისაზღვრა, ხოლო შემდგომში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, რაც ძირითადად მისაღები შემოსულობების პროგნოზების გთვალისწინებით განხორციელდა, **1 მილიარდ 559 მილიონ 866, 6 ლარი შეადგინა**

აღსანიშნავია, რომ 2022 წლის ბიუჯეტი 2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებით მნიშვნელოვნად გაზრდილია, რაც ცალსახად მოწმობს, იმას, რომ ჩვენი თანამოქალაქეების ინტერესების შესაბამისად, დედაქალაქისთვის აუცილებელი კიდევ უფრო მეტი, ახალი სოციალური და ინფრასტრუქტურული პროექტი ხორციელდება.

თბილისის 2022 წლის ბიუჯეტი შემდეგ მიმართულებებზე გადანაწილდა:

- ○ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენა
- ○ ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლოატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება
- ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება
- ○ ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა
- ○ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება
- ○ ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა
- ○ განათლება; კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა
- ○ საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება
- ○ თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები

დარწმუნებული ვარ, მომავალი წელი დედაქალაქის მერის, მთავრობისა და თითოეული ჩვენგანის კოორდინირებული მუშაობის შედეგად, თბილისისთვის კიდევ უფრო წარმატებული იქნება და ჩვენს მიერ დაგეგმილი მასშტაბური რეფორმები მოსახლეობის კეთილდღეობაზე აისახება

ტრანსპორტი

დედაქალაქის სატრანსპორტო პოლიტიკა მიმართულია მაქსიმალურად მოერგოს თანამედროვე ქალაქის სტანდარტებს. თბილისი განიტვირთოს საცობებისგან, გაუმჯობესდეს ეკოლოგიური მდგომარეობა და მოქალაქეებმა ავტომობილების ნაცვლად, უპირატესობა საზოგადოებრივ ტრანსპორტს მიანიჭონ.

როგორც ყველა რეფორმა, სატრანსპორტო პოლიტიკის განხორციელების პროცესიც, არ არის მარტივი, მით უფრო მაშინ, როცა ეს მოქალაქეთა ყოველდღიურ ცხოვრებაზე აისახება. გასათვალისწინებელია, რომ სატრანსპორტო რეფორმის ფარგლებში თბილისს უკვე ჰყავს ყველაზე ახალი, მოწესრიგებული ავტობუსები და მიკროავტობუსები, რომლებიც ყველანაირად გამართულია კონდიცირება-გაგრილება-გათბობის სისტემებით, აღჭურვილია შესაბამისი უსაფრთხოების კამერებით, ადაპტირებულია შშმ პირთათვის და ა.შ.

სატრანსპორტო რეფორმა მომავლშიც გაგრძელდება, რაც საგრძნობლად გააუმჯობესებს დედაქალაქში გადაადგილებას.

თბილისის მუნიციპალიტეტი, საქართველოს ცენტრალური მთავრობისა და გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის მხარდაჭერით, იწყებს ახალი სატრანსპორტო პროექტის განხორციელებას, რაც დედაქალაქის ქუჩებში ჭკვიანი სატრანსპორტო სისტემის განვითარებას გულისხმობს. სისტემა მოიცავს მონაცემთა პლატფორმას, საგზაო სენსორებსა და ნაკადების მართვის ტექნოლოგიას, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს თბილისში, რეალურ დროში ვმართოთ საგზაო მოძრაობა და პარკირება. ის, ასევე, ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და საგანგებო სიტუაციების ეკიპაჟების გადაადგილებას.

ჭკვიანი სატრანსპორტო სისტემა დაგვეხმარება გზებზე უსაფრთხოების გაზრდაში, საცობების შემცირებისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით.

➤ ავტობუსების და მიკროავტობუსების პარკი

სრულად ჩანაცვლდა ყვითელი, ამორტიზებული მიკროავტობუსები. ამჟამად, დედაქალაქს ჰყავს 1000 ახალი, ეკოლოგიურად სუფთა და ევრო სტანდარტის მქონე მიკროავტობუსი, საიდანაც ხაზებზე მოძრაობს 749 ერთეული. ამოქმედდა ახალი, მარშრუტები.

2022 წლის მარტში ავტობუსების სამარშრუტო ნომრებში ცვლილებები განხორციელდა, ხოლო, აპრილის თვეში სრულად განახლდა ავტობუსების პარკი. შედეგად, დედაქალაქის მაცხოვრებლებსა და სტუმრებს 672 ერთეული თანამედროვე სტანდარტის, ეკოლოგიურად სუფთა ავტობუსი ემსახურება. ამოქმედდა ახალი მარშრუტები (ავტოპარკის განახლებამდე, დედაქალაქში მოძრაობდა დაახლოებით 430 ერთეული ყვითელი, 8 მეტრიანი ავტობუსი).

2022 წლის 1 თებერვლიდან შესაძლებელია ინტეგრირებული ტარიფით მგზავრობა. ერთიან სისტემაში ჩაერთო ყველა ტიპის საზოგადოებრივი ტრანსპორტი, მათ შორის, მიკროავტობუსები. ამოქმედდა ახალი, სააბონემენტო სისტემა.

განხორციელებული ცვლილებების შედეგად, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოლოდინის დრო პიკის საათებში საგრძნობლად შემცირდა, ხოლო ავტობუსების/მიკროავტობუსების ტევადობა 1,5 ჯერ მეტია ადრინდელზე.

საზოგადოებრივ ტრანსპორტში სააბონენტო ულიმიტო სისტემა ამოქმედდა. იანვრიდან მეტროს, ავტობუსების და მიკროავტობუსის მომხმარებლებს შესაძლებლობა აქვთ შეიძინონ სამგზავრო აბონემენტები

- დედაქალაქში მოქმედებს უფასო და შეღავათიანი ტარიფით მგზავრობის სისტემა სხვადასხვა კატეგორიის მოსარგებლებისათვის.
- ზონალურ-საათობრივი პარკირების სისტემა - ყოველწლიურად იზრდება ლოკაციები ზონალურ-საათობრივი პარკირების სისტემის დასანერგად. მთელი ქალაქის მასშტაბით დღეის მდგომარეობით სულ გამოყოფილია 3600 მდე ადგილი.

უფასო ზონალური პარკირების მისაღებად რეგისტრირებულია 5 602 მომხმარებელი

- ტაქსების რეფორმა -რეფორმის ფარგლებშიც სავალდებულო გახდა ნებართვის მიღება იმ საქმიანობისათვის, რომელიც მოსახლეობას ტაქსის მომსახურებას სთავაზობდნენ. აღნიშნული ნებართვა მოქალაქეთა ინტერესების შესაბამისი სხვადასხვა პრირობების დაკმაყოფილების შედეგად გაიცემა.
2022 წლის მდგომარეობით ტაქსის 16, 684 აქტიური ნებართვაა გაცემული.

- ელექტროდამტენები -ელექტრომობილების წახალისების მიზნით, დედაქალაქის მერიამ შექმნა ელექტროდამტენების სპეციალური პორტალი chargers.tbilisi.gov.ge . პროექტის მიზანია, თბილისში ჰაერის დაბინძურების დონისა და მავნე აირების შესამცირებლად წახალისოს ტრანსპორტის ეკოლოგიურად სუფთა ალტერნატივა და ელექტრომობილების მოხმარება.

დედაქალაქში სხვადასხვა ლოკაციაზე პერიოდულად მონტაჟდება ელექტროდამტენები, მათ შორის მოსახლეობის მოთხოვნის შესაბამისადაც. სულ ამ ეტაპზე დამონტაჟებულია- 200 მდე ელექტროდამტენი.

- მეტროპოლიტენის რეაბილიტაცია - გაზრდილი მგზავროვნაკადის გამო, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება 35 ტურნიკეტის შეძენის, რომლებიც შსაბამის მეტროსადგურებში განთავსდება.

ასევე, იგეგმება 11 მეტროსადგურისა და ბაქნების სრული რეაბილიტაცია, ესკალატორების განახლება თანამედროვე მოდელებით, ასევე, შშმ პირებისათვის შერჩეული სადგურების სრული მექანიზაცია-აღჭურვა.

- მიმდინარეობს 12 ვაგონის განახლება.
- სრულდება მეტროსადგურ „გოცირიძის“ სრული რეაბილიტაცია და განახლება.

ამჟამად მეტროში მატარებლების მოძრაობის ინტერვალი საშუალოდ 2-2,5 წუთია.

- საბაგირო - მიმდინარეობს რუსთაველი - მთაწმინდის დამაკავშირებელი საბაგირო გზის სრული განახლება და მშენებლობა ხოლო, რიყე-ნარიყალას საბაგირო გზას ჩაუტარდა გეგმიური სარემონტო სამუშაოები.

➤ საგზაო ნიშნები/დახაზვითი სამუშაოები პერმანენტულად ხორციელდება:

- დაიხაზა დაახლოებით 47 კილომეტრიანი საავტომობილო ზოლი
- დამონტაჟდა 1100 ზე მეტი საგზაო ნიშანი
- დაიხაზა დაახლოებით 35 000 კვ.მ ქუჩა
- 300-მდე ლოკაციაზე დაიხაზა ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელი და მოეწყო ველობილიკები
- მოეწყო 30-მდე შუქნიშანი

დედაქალაქში, ყოველდღიურად, საზოგადოებრივი ტრანსპორტით საშუალოდ, 1 200 000 მგზავრი სარგებლობს.



ინფრასტრუქტურული პროექტები

ქალაქის ინფრასტრუქტურის განახლება, აღდგენა, ახალი დასასვენებელი და სპორტული სივრცეების მოწყობა ჩვენს მიერ დაგეგმილ პროექტებში ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა.

2022 წელს, თბილისში განხორციელდა და ასევე დაიწყო მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები.

მელიქიშვილის გამზირი - მთლიანად გამოიცვალა საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემები, მიერთებითი სამუშაოების დასრულების შემდეგ კი ქუჩები მოასფალტდება და მოეწყობა საგზაო ინფრასტრუქტურა. აღსანიშნავია, რომ ამ მასშტაბის კაპიტალური სარემონტო სამუშაოები 70-იანი წლების შემდეგ არ ჩატარებულა. პროექტის დასრულების შემდეგ დამონტაჟდება ბოძები თანამედროვე ლედ განათებით, დაიგება ასფალტის ახალი საფარი, მოეწყობა ტროტუარი, გამოიყოფა ორმხრივად მოძრავი საზოგადოებრივი ტრანსპორტისათვის განკუთვნილი ზოლი, მოეწყობა მოსაცდელები, ველობილიკი, ასევე, დამონტაჟდება მიწისქვეშა ნარჩენების შემკრები ურნები, ჩატარდება გამწვანების სამუშაოები და არსებული ინფრასტრუქტურა ადაპტირდება შშმ პირთათვის.



ქეთევან დედოფლის გამზირი - მიწისქვეშა კომუნიკაციები მთლიანად შეცვლილია. მიმდინარეობს საგზაო ინფრასტრუქტურის, საფეხმავლო ბილიკების მოწყობის სამუშაოები. მონტაჟდება ლედ სანათები. პარალელურად, მიმდინარეობს მეტროსადგურ „ავლაზრისა“ და ავლაზრის მოედნის, ასევე, იქვე არსებული რეკრეაციული სივრცეების განახლების სამუშაოები გამზირზე გამოიყოფა ავტობუსისთვის განკუთვნილი ზოლი და ველობილიკი.

თამარ მეფის გამზირი - განხორციელდა არსებული საგზაო კუნძულების, ტროტუარებისა



და გზის სავალი ნაწილის რეკონსტრუქცია/მოდერნიზება, ქვეითად მოსიარულეებისთვის მოეწყო გადასასვლელები. დაემატა შუქნიშნები, რამაც მოაწესრიგა გადაადგილება, როგორც ქვეითებისთვის, ასევე, ავტომობილებისთვის და ავტობუსებისთვის



მეტეხის ხიდი - პროექტის ფარგლებში, მიწისქვეშა კომუნიკაციები მთლიანად შეიცვალა, გზის სავალი ნაწილის ორივე მხარეს ჰიდროიზოლაცია მოეწყო და ასფალტო-ბეტონის ახალი საფარი 2 300 კვ.მ ფართობზე დაიგო. ასევე, მოეწყო და ბუნებრივი ქვის ფილებით მოპირკეთდა ტროტუარები. ფასადებს და თაღებს სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა, ხოლო ხიდზე არსებული თუჯის მოაჯირებისა და ბოძკინტების აღდგენა იერსახის უცვლელად მოხდა.



თამარაშვილის ქუჩა - მოეწყო ავტობუსებისათვის ზოლი, ქვეითთა გადაადგილების მიზნით, მოეწყო შუქნიშნით რეგულირებული ზებრა გადასასვლელი;

ასევე, დამონტაჟდა ტრენაჟორები და განათება. მოეწყო ბავშვთა გასართობი ზონა და სკვერი გამწვანდა.

ბაგების გზაგამყოფი - პროექტის ფარგლებში, ავტობუსისთვის შესაბამისი ზოლი მოეწყო. იგეგმება ბაგების მთლიანი მოწესრიგება თავისი ინფრასტრუქტურით - საპარკინგე ადგილებით და საფეხმავლო ბილიკებით. აღნიშნულ მონაკვეთზე ქვეითთა უსაფრთხოდ და კომფორტულად გადაადგილების მიზნით, გაფართოვდა ტროტუარები, მოეწყო

შუქნიშნით დარეგულირებული „ზებრა“ გადასასვლელები და განახლდა ავტობუსის გაჩერებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა.


აღნიშნული ტერიტორია სრულად ადაპტირდა შშმ პირებისთვის. ამასთანავე, ქუჩის დიზაინი ითვალისწინებს კერძო ავტომობილების მოძრაობისას უსაფრთხოების ნორმების დაცვას



ძველი თბილისის რეაბილიტაცია

თბილისის განვითარების ფონდმა პროექტ „ახალი ტფილისის“ ფარგლებში, ანტონ კათალიკოსის ქუჩაზე, N30-N32-ში მდებარე საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია დაასრულა. ორივე შენობა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსს ატარებს.

ასევე, ორბელიანის მოედნის მიმდებარე არეალში ისტორიული შენობის სადარბაზოებს



სარესტავრაციო სამუშაოები ჩაუტარდა, მათ შორის:

- ათონელის N17,18,21-ში
- ათონელის N23-ში
- ათონელის N29-ში
- ათონელის N31-ში

მოსწავლე ახალგაზრდობის

მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე



სამუშაოები, რომელიც მოიცავს: საინჟინრო ქსელების მოწესრიგებას, ბადისა და 9 აპრილის ქუჩის მხარეს მდებარე მაღალი საყრდენი კედლის გამაგრებასა და საძირკვლის გაძლიერებას, ინტერიერში ოთახების აღდგენა-რესტავრაციას, მხატვრულ-დეკორატიული დარბაზების საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოებს, კარ-ფანჯრების განახლებას, დაზიანებული დეკორატიული ბალუსტრადის რესტავრაციასა და მის გადაწყობა-აღდგენას, სარესტავრაციო-სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებას შენობაზე, ეზოსა და სასახლის ისტორიულ ღობეებზე.

მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე, დაახლოებით, 80-წლიანი ისტორიის მქონე კულტურულ-საგანმანათლებლო და ახალგაზრდობის ცენტრია, სადაც 5 000-მდე მოსწავლე-ახალგაზრდა სხვადასხვა სერვისით სარგებლობს




გამწვანება და ეკოლოგია


დედაქალაქში ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების მიზნით მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდა. თბილისს კიდევ არაერთი ლამაზი დასასვენებელი, მწვანე სივრცე შეემატა.

ვარკეთილის ხევის პარკი - რეაბილიტაციის ფარგლებში, ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი რესურსი და მწვანე ნარგავები შენარჩუნდა. გარემოში მინიმალური ჩარევით, თანამედროვე რეკრეაციული სივრცე შეიქმნა, რომელიც პასიური და აქტიური დასვენების ზონებად დაიყო. პარკი გათვლილია ყველა ასაკობრივ ჯგუფზე და სრულად არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე.

პარკის ტერიტორიაზე, მოსასვენებელი სივრცეები, ღია ამფითეატრი, შადრევანი, სასმელი წყლის შადრევნები, სკეიტ პარკი, ველობილიკი, გადმოსახედი ბაქანი, სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისთვის განკუთვნილი საბავშვო მოედნები, ატრაქციონები, სპორტული მოედნები, ძაღლების სასეირნო და სავარჯიშო სივრცე მოეწყო. ასევე, განახლდა არსებული საფეხმავლო ხიდი და მდელოს სახით, გაჩნდა საპიკნიკე არეალები.



დიდი დიდმის პარკი- დიდი დიდმის მესამე მიკრორაიონის დასაწყისში პარკის მოწყობა დასრულდა. ინფრასტრუქტურული სამუშაოები 14 700 კვ.მ ფართობზე ჩატარდა. სამუშაოების ფარგლებში, ტერიტორიაზე მოეწყო შადრევანი, ამფითეატრი, საბავშვო ზონა, ველობილიკი, სავარჯიშო და ძაღლების გასასეირნებელი სივრცეები, საფეხმავლო ბილიკები, ლედ განათების სისტემა. ჩატარდა გამწვანების სამუშაოები, რომელიც მოიცავდა სარწყავი სისტემის მოწყობას, რულონური ბალახის დაგებასა და სხვადასხვა სახეობის 735 ძირი ხე-მცენარის დარგვას.



წყნეთის გზატკეცილი - პროექტის ფარგლებში, წყნეთის გზატკეცილის N49 ბ-ს მიმდებარედ, 1200 კვ. მეტრზე ახალი დასასვენებელი სივრცე, მწვანე ზონა და სპორტული მოედანი მოეწყო. პროექტის ფარგლებში მოეწყო საპარკე ინფრასტრუქტურა, სარბენი ბილიკი და კომბინირებული სპორტული მოედანი.



გეგეშიძის ბაღი - პროექტის ფარგლებში, ტერიტორიაზე განახლდება საფეხმავლო ბილიკები, განთავსდება თანამედროვე სტილის საპარკე ინვენტარი, მოეწყობა გარე განათების სისტემა და საბავშვო მოედანი. სევე, დამონტაჟდება სარწყავი სისტემა და დაირგვება სხვადასხვა სახეობის მწვანე ნარგავები.



ვაკის პარკი - რეაბილიტაციის პროცესი გრძელდება ვაკის პარკის, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, პირვანდელი იერსახე მაქსიმალურად შენარჩუნდა, საბოლოოდ სარეაბილიტაციო სამუშაოები 2023 წლის გაზაფხულზე დასრულდება.

პუშკინის სკვერი - რეაბილიტაციის ფარგლებში, ტერიტორიაზე მოეწყობა დამატებით გამწვანებული სივრცეები და შეიცვლება არსებული გამწვანებული თარგების გეგმარება. ასევე, განახლდება საფეხმავლო ბილიკები, განთავსდება საპარკე ინვენტარი, მოეწყობა გარე განათების სისტემა და დამატებით დამონტაჟდება ვიდეომეთვალყურეობის სისტემა. თარგებში ჩატარდება გამწვანებისთვის საჭირო ყველა ღონისძიება: ტერიტორიაზე შევანოყიერი მიწის ნაზავი, დაირგვება მწვანე ნარგავები, მოეწყობა სარწყავი სისტემა და დაიგება ბალახის საფარი.

დედაქალაქის მოწესრიგება და სისუფთავე ერთ-ერთი მთავარი პროორიტეტია.

სისტემატიურად მიმდინარეობს, მერიის მიერ შემუშავებული გრძელვადიანი გეგმის ფარგლებში, რეფორმები და განახლება. განხორციელდა "თბილსერვის ჯგუფის" ავტოპარკის განახლება. სპეცავტომობილები აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით და სრულ შესაბამისობაშია ევროპულ სტანდარტებთან, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს "თბილსერვისის" მუშაობის ხარისხს.



თბილისის მერიამ მუნიციპალური ნარჩენების მართვის 5-წლიანი სამოქმედო სტრატეგია შეიმუშავა. სტრატეგიით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნით მუნიციპალიტეტს, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკსა (EBRD) და

შპს „თბილსერვის ჯგუფს“ შორის მემორანდუმი გაფორმდა. შეთანხმების შედეგად, დედაქალაქის ნაგავსაყრელ პოლიგონზე ნარჩენების დახარისხების ხაზი და გაზემკრები სისტემა მოეწყობა. გაზემკრების სისტემის მოწყობა უმნიშვნელოვანესი პროექტია, რადგან დახარისხებული ნარჩენების დამუშავების შედეგად ელექტროენერჯის გამომუშავება მოხდება, ადგილობრივი მოსახლეობისთვის კი ეკოლოგიური და სანიტარიული გარემო გაუმჯობესდება.



ჯანმრთელობის დაცვა

დედაქალაქის მოსახლეობისათვის ხორციელდება სხვადასხვა პროგრამები. ყოველწლიურად იზრდება აღნიშნული პროგრამების მოსარგებლეთა რაოდენობა.

ჯანდაცვის სფეროში:

- დაავადებათა სკრინინგი
- გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლი
- აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამა
- „C“ ჰეპატიტის დიაგნოსტიკა
- ტრანსპლანტაცია
- ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება
- ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება
- გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება

სოციალურ სფეროში:

- კომუნალური სუბსიდირება
- სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისთვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მოზარდთა საკურორტო მომსახურება
- 100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარება
- სოციალურად დაუცველი მოსწავლეების მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლებსა და მოწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში სწავლების დაფინანსება

- სოციალურად დაუცველი მოსწავლეების ხელოვნების სკოლებში სწავლების დაფინანსება
- სოციალურად დაუცველი მოსწავლეების სპორტულ სკოლებსა და საცურაო აუზებზე სწავლების დაფინანსება
- სერვის ცენტრებში ბარათების დამზადება (ინიციალიზაცია)
- სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებები
- ომის ვეტერანთა დახმარება
- მარტოხელა ხანდაზმულთა დღის ცენტრის ხელშეწყობა
- თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა
- სოციალურად დაუცველი 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება
- სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარება
- „ვორლდ ვიჟენ საქართველოს“ სოციალურად დაუცველი ბავშვების დღის ცენტრის თანადაფინანსება
- სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება
- შინმოვლის თანადაფინანსება
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაცია და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფა
- სოციალური მზრუნველობის სააგენტო
- სხვა სოციალური დახმარების ღონისძიებები რაიონებში
- უფასო სასადილოები რაიონებში
- დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია

- საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მიწისქვეშა ელ-ტრანსპორტით და საბაგირო გზით საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება
- წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება რაიონებში
- გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები რაიონებში

სოციალური დაცვის მიმართულებით აღნიშნული პროგრამებს 2022 წელს დაემატა:

- საპენსიო ასაკის პირებისათვის მედიკამენტების დაფინანსება
- უსახლკარო ოჯახებისთვის საცხოვრებელი ფართის შეძენა
- მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული, სრულწლოვანი პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა
- ალკოჰოლური თრობის ქვეშ მყოფთა და სხვა პრობლემების მქონე პირთა მომსახურება.

მუნიციპალური ქონების მართვა

კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა და დაუკანონებელ ფართებში მცხოვრებთა დაკმაყოფილების პროცესი გრძელდება.

თბილისის საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად უკვე 2000 მდე ოჯახი დაკმაყოფილდა სცხოვრებელი სახლებით. რაც შეეხება კოოპერატიული ბინათმშენებლობით გამოწვეული დაზარალებულების დაკმაყოფილებას, დღეის მდგომარეობით 1744 წევრთან უკვე განხორციელებული შესაბამისი ღონისძიებები, ხოლო კიდევ 600 მდე დაზარალებულის განცხადება რეგისტრირებულია მუნიციპალიტეტის მერიაში და მიმდინარეობს განხილვები.

უმნიშვნელოვანესია სამშენებლო კომპანიების მიერ დაზარალებული მოქალაქეების დახმარება და გაჩერებული მშენებლობების დასრულება. თბილისის მერია და საკრებულო, კერძო სამშენებლო კომპანიებთან მჭიდრო თანამშრომლობით, აღნიშნული პრობლემის მოგვარების მიმართულებით აქტიურად მუშაობს.

საბინაო პოლიტიკის მიმართულებით დედაქალაქში ძალაზედ მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება დაიწყო. ავარიული სახლების ჩანაცვლების პრობლემა ძალაზედ აქტუალურია ვინაიდან საცხოვრებელი ფონდის დიდი ნაწილი ამორტიზირებულია და საჭიროებს ჩანაცვლებას.

პირველი ავარიული კორპუსის საპილოტე პროექტის სადემონტაჟო-სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით ტენდერი დასრულდა. სამგორის რაიონში მდებარე მეოთხე კატეგორიის ავარიულობის მქონე შენობა იქნება პროგრამის პირველი მონაწილე, რომლის დემონტაჟი დაიწყება მიმდინარე წლის ოქტომბერში. სამშენებლო სამუშაოები მომდევნო ორი წლის განმავლობაში გაგრძელდება. პროექტის ფარგლებში დაკმაყოფილდება 36 ოჯახი, რომელიც მუნიციპალიტეტს უკვე გაყვანილი ჰყავს ქირით. დედაქალაქის მერია აღნიშნული საპილოტე პროგრამით დამატებით 12 ავარიული კორპუსის პროექტს ამუშავებს.

განათლება, კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა

➤ თბილისის საკრებულოს ისტორიულ შენობაში, დიდი საერთაშორისო ტურნირის წინ, ვეტერან კალათბურთელებს, საქართველოს ეროვნულ ნაკრებს და კალათბურთის ფედერაციის წარმომადგენლებს უმასპინძლეს. კალათბურთში ევროპის ჩემპიონატის ჯგუფის თამაშების მასპინძლობა დიდი პატივი და ამავდროულად, დიდი პასუხისმგებლობაა დედაქალაქისთვის, თუმცა, თბილისმა უკვე შეიძინა მასშტაბური საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების მასპინძლობის მდიდარი გამოცდილება.



➤ დედაქალაქის წარმომადგენლობით ორგანოში კამპანიის - წარმატებული სპორტსმენები საკრებულოში“ ფარგლებში მიღება გაიმართა:

- საქართველოს ქალ მოჭადრაკეთა ნაკრებსა და ჭადრაკის ფედერაციის ხელმძღვანელ პირებთან
- ქალ პარამოფარიკავეთა ნაკრების და პარაოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელი პირებთან
- ფარიკაობაში 2022 წლის ევროპის ჩემპიონ და მსოფლიო პრიზიორ სანდრო ბაზაძესთან და ფარიკაობის ფედერაციის ხელმძღვანელ პირებთან



- თბილისის საკრებულოში შედარებითი ლიტერატურის მსოფლიო კონგრესის მონაწილეთა საზეიმო მიღება გაიმართა. შედარებითი ლიტერატურის მსოფლიო კონგრესის თბილისში ჩატარების გადაწყვეტილება გასულ წელს იქნა მიღებული, როდესაც კონგრესის საბჭომ საქართველოდან წარდგენილი წინადადება გამარჯვებულად დაასახელა. შედეგად, შედარებითი ლიტერატურის ქართულმა ასოციაციამ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტთან თანამშრომლობით კონგრესის გამართვის უფლება მოიპოვა



- მასშტაბური ფესტივალი „თბილისის სტუდენტური ფესტივალი 2022“ განხორციელდა, რომლის ფარგლებშიც ტურნირები სპორტის 15 სახეობაში და კულტურული მიმართულების ტურები ჩატარდა. საზეიმო ცერემონიაზე დააჯილდოვეს გამარჯვებული უნივერსიტეტები სხვადასხვა მიმართულებით, ასევე კულტურის მიმართულებით გამარჯვებული უნივერსიტეტები გამოვლინდნენ.



- დედაქალაქში „60+ კლუბი“ გაიხსნა, რომელიც მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების ორგანიზებითა და გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) პარტნიორობით ხორციელდება. პროექტი ემსახურება 60 წლის და მეტი ასაკის მქონე მოქალაქეების ჯანსაღი და აქტიური ცხოვრების ხელშეწყობას.

➤ დედაქალაქში პანდემიით გამოწვეული იძულებითი შესვენების შემდგომ თბილისობის დღესასწაული ჩატარდა. თბილისობის დღესასწაული უკვე 43 წლიან ისტორიას ითვლის. ამ დღის აღნიშვნა ტრადიციადაა დამკვიდრებული არა მარტო დედაქალაქის მცხოვრებლებისთვის, არამედ მთელი საქართველოსთვის. თბილისობის დღესასწაულზე საპატიო თბილისელის წოდება მიენიჭათ საზოგადოებისათვის საყვარელ და პატივსაცემ ადამიანებს: შალვა ამონაშვილს - მეცნიერსა და პედაგოგს; თენგიზ არჩვაძეს - მსახიობს; ტარიელ ჭანტურიას - მთარგმნელს; პოეტს; ჯემალ ღაღანიძეს - მსახიობს; მერაბ კოკოჩაშვილს -

კინორეჟისორს და პედაგოგს; მინდია უგრეხელიძეს - სამართალმცოდნეს; ვახტანგ ჯავახიძეს - პოეტს, მწერალსა და მთარგმნელს; ჯემალ სეფიაშვილს - კომპოზიტორს; ბადრი ვადაჭკორიას - ჟურნალისტს და ფოტოხელოვანს; გურამ ბექაიას - ფიზიოლოგს და მეცნიერს; ილია ხეროდინაშვილს - ინჟინერს და მეცნიერს; ლაურა იაშვილს - მუსიკოსს და პიანისტს; რევაზ ასათიანს - ინჟინერ-მშენებელს; ვახტანგ დავითაიას - არქიტექტორს და პედაგოგს; მათა გოთუას - ალერგოლოგს და იმუნოლოგს; ვან ბაიბურთს - პოლიტიკოსსა და ჟურნალისტს; ჰასან ჰასანოვს - აზერბაიჯანელ დიპლომატს; ელიზაბეთ სომბარტს (Elizabeth Sombart) - ფრანგ პიანისტს; ელდარ შენგელაიას - რეჟისორს; დემნა გვასალიას - დიზაინერს



გეოგრაფიული ობიექტების სახელდება

- ❖ 2022 წლის 9 აპრილს, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის ინიციატივით განხილული იქნა დედაქალაქის რამდენიმე რაიონში ნინო თოიძის, ნატო გიორგაძის, ვენერა მეტრეველის, აზა ადამიას, მარინა ჭყონია-სამარგულიანის, ნანა სამარგულიანის, ზაირა კიკვიძის, ნოდარ ჯანგირაშვილის, მამუკა ნოზაძის და შალვა ქვასროლიაშვილის სახელობის ქუჩების სახელდების საკითხები - აღნიშნული სახელდების შემდგომ თბილისში 9 აპრილს დაღუპული ყველა ადამიანის სახელობის გეოგრაფიული ობიექტი არსებობს.
- ❖ აგვისტოს ომის წლისთავზე, 2022 წლის 8 აგვისტოს, საკრებულოს ინიციატივით თბილისში არსებულ 12 გეოგრაფიულ ობიექტს ომში გარდაცვლილი მეზრძოლების სახელები ეწოდა, მათ შორისაა, ეროვნული გმირების, გიორგი ანწუხელიძის სახელობის სკვერი და ალექსანდრე ონიანის ქუჩა. გარდა აღნიშნულისა საკრებულოს სხდომაზე დაინიცირდა საკითხი, ომში გარდაცვლილი ჟურნალისტის გიგა ჩიხლაძის, ფოტორეპორტიორის ალექსანდრე კლიმჩუკის და ჰოლანდიელი ტელეოპერატორის სტან სტორიმანსის სახელების მინიჭებასთან დაკავშირებით.
- ❖ კორონავირუსით გამოწვეული მძიმე შედეგები სამწუხაროდ საგრძნობლად აისახა ქართულ საზოგადოებაზეც. უხილავმა მტერმა არაერთი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, მათ შორის პროფესიულ საზოგადოებებსა და სრულიად საქართველოს არაერთი ისეთი გამორჩეული მოღვაწე გამოაკლდა, რომელთა სახელების უკვდავყოფაც სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მნიშვნელოვანი ვალდებულებაა. ბოლო ერთი წლის განმავლობაში საკრებულომ დაიწყო კონკრეტული სამუშაოების განხორციელება თბილისში არსებული გეოგრაფიული ობიექტებისთვის გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეების სახელების მინიჭების

მიზნით, მათ შორის არიან : ანზორ ერქომაიშვილი, რეზო გაბრიაძე, გია ყანჩელი, გიგა ბათიაშვილი, გურამ დოჩანაშვილი, გურამ საღარაძე, დავით წერედიანი, გომარ სიხარულიძე, ჯემალ ჭკუასელი, კუკური ჭოხონელიძე, ზურაბ ბაკურაძე, თემურ წიკლაური, ნუგზარ აფხაიძე, ავთანდილ შარვაძე, ოდისეი დიმიტრიადი, ლევან ალექსიძე, ჯანსუღ კორძაია და სხვები. ხსენებული სახელწოდებებიდან რიგ შემთხვევებში სახელდების პროცესი უკვე დასრულებულია, ხოლო ზოგიერთ საკითხზე ამ დრომდე მიმდინარეობს გარკვეული პროცედურები.

საანგარიშო პერიოდში თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ სულ 100 ობიექტის სახელდება განხორციელდა



წარმომადგენლობითი ფუნქცია და საგარეო ურთიერთობები

ევროპული სტანდარტებით თვითმმართველობის შემდგომი განვითარების მიზნით ქ. თბილისის საკრებულოს დელეგაცია მუდმივად თანამშრომლობს ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესთან.

როგორც საკრებულოს თავმჯდომარემ და ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა საანგარიშო პერიოდში საკრებულოს დელეგაციასთან ერთად მონაწილეობა მივიღე:

ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის 41-ე პლენარულ სესიაში.

ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის 42-ე პლენარულ სესიაში, სადაც საქართველოს დელეგაციის წევრებმა მხარი დაუჭირეთ კონგრესის მიერ ერთსულოვნად მიღებულ დეკლარაციას უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის ომის შესახებ. სესიაზე მიღებულ იქნა ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის სადამკვირვებლო მისიის ანგარიში, სადაც დადებითად იყო შეფასებული საქართველოში 2021 წლის ოქტომბერში ჩატარებული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები. კონგრესში მონაწილე უკრაინის დელეგაციას კიდევ ერთხელ დავუდასტურეთ ჩვენი ქვეყნის მხარდაჭერა.

ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის მონიტორინგის კომიტეტის შეხვედრებში, სადაც ლევან ჟორჟოლიანი იტალიელ კოლეგასთან ბელინდა გოტარდისთან ერთად, თანამომხსენებლად წარსდგა. ანგარიშში გარემოზე უფლება განხილულია, როგორც ადამიანის ძირითადი უფლება. ანგარიშში მოტანილია რეკომენდაციები, რომ გარემოზე უფლება განხილვებოდეს როგორც ფუნდამენტური უფლება.

მნიშვნელოვან საკითხებზე ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით შეხვედრები შედგა:



საქართველოში უკრაინის საქმეთა

დროებით რწმუნებულთან ანდრეი კასიანოვთან უკრაინის მოქალაქეების დახმარებისა და მხარდაჭერის არსებული პროგრამებისა და სამომავლო გეგმების შესახებ.

დღეს საქართველოში საბერძნეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან მარია თეოდორუსთან.



რუმინეთში ხელი მოეწერა თბილისსა და ბუქარესტს შორის დაძმობილების მემორანდუმს. გარდა იმისა, რომ ჩვენმა ქალაქმა კიდევ ერთი მეგობარი შეიძინა, მემორანდუმი ახალ პერსპექტივას გვისახავს რუმინეთის დედაქალაქთან მჭიდრო თანამშრომლობისათვის.

შესაძლებელი იქნება ურბანულ საკითხებთან დაკავშირებული გამოცდილების და ცოდნის ურთიერთგაცვლა, მჭიდრო კონტაქტების ისეთი მიმართულებებით განვითარება, როგორცაა სპორტი და კულტურა. მეფე მიჰაი I-ის სახელობის პარკში შოთა რუსთაველის ბიუსტი საზეიმოდ გავხსენით, რაც ჩვენი კულტურული კავშირის დასტურია.

საქართველო ყოველთვის იდგა და იდგება უკრაინელი ხალხის გვერდით. ჩვენი მოძმე ერისთვის ამ ძნელ პერიოდში შევქმენით საკოორდინაციო ჯგუფი, რომელიც ეფექტიანი და ორგანიზებული დახმარების გასაწევად, უკრაინული სათვისტომოს წარმომადგენლებთან ერთად მუშაობს. უკრაინელების დასახმარებლად განვახორციელეთ ჰუმანიტარული აქციები, სისხლის დონაციის აქცია და სხვადასხვა ღონისძიებები, რაშიც კერძო და საერთაშორისო ორგანიზაციებიც დაგვეხმარნენ.



ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენს ევროპელ პარტნიორებთან მრავალმხრივი თანამშრომლობის გაღრმავება, განსაკუთრებით ადამიანის უფლებების მიმართულებით.

ამ თემაზე მონაწილეობა მივიღე ადგილობრივი თვითმმართველობის ფორუმში, რომელიც პროექტის “საქართველოში ადგილობრივ დონეზე მონაწილეობითი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების გაძლიერება“ ფარგლებში მოეწყო. პროექტი ევროპის საბჭოს 2020-2023 წ. წ. საქართველოს სამოქმედო გეგმის შესაბამისად, ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესის, დემოკრატიის გენერალური დირექტორატის მიერ

და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება. პროექტი მიზნად ისახავს მოქალაქეთა მონაწილეობის ინსტიტუციური ჩარჩოების გაძლიერებას, ასევე, ადამიანის უფლებების დაცვისა და ხელშეწყობის მიზნით, ადგილობრივი ხელისუფლების, მათი ეროვნული ასოციაციისა და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელშეწყობას.



თბილისში მყოფი უკრაინელებისთვის უფასოდ ხელმისაწვდომი გაგზადეთ მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებული: საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ბავშვთა გასართობი ცენტრები, მუზეუმები, თეატრები, საცურაო აუზები. თბილისის საჯარო ბაგა-ბაღებმა მიიღეს უკრაინელი ბავშვები, უკრაინის მოქალაქეების დახმარების მიზნით მოქმედებს თბილისის მერიის ცხელი ხაზი.




ჩვენი მოძმე უკრაინელი ხალხის მხარდაჭერა მომავალშიც გაგრძელდება.



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვაკის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის, გიორგი ტყემალაძის წარმომადგენლობის საქმიანობა

მაჟორიტარი დეპუტატის წარმომადგენლობაში მოსახლეობის მხრიდან შემოსული განცხადებების, ასევე წარმომადგენლობის თანამშრომლების მიერ ადგილზე მოკვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციების გაანალიზებით სამაჟორიტარო ოლქში გამოვლენილ და იდენტიფიცირებულ იქნა პრობლემები სხვადასხვა მიმართულებებით.

მაჟორიტარი დეპუტატის მიერ მოქალაქეთა მიღება ხდება სისტემატურად ოთხშაბათ დღეს. საერთო ჯამში ზეპირი კონსულტაცია გაეწია 120-მდე მოქალაქეს. მოქალაქეებს წერილობითი შუამდგომლობები გაეწიათ სხვადასხვა მუნიციპალური სერვისების მიღების მიზნით.



მიმდინარე წელს საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიზნით, სამუშაოები განხორციელდა შემდეგ მისამართებზე:

- ჭილაია - ასათიანის და კაპანელის ქუჩა
- ჭავჭავაძის N 75
- თბილვალას 1და 2 გას, ავალიანის დაორბელიანის ქუჩები
- უნივერსიტეტის ქ, წმინდა ნინოს ტაძრამდე მისასვლელი გზა
- წყნეთი საირმის ქუჩა ნ.30-დან ნ66-მდე
- თვალჭრელიძის N16 და N18
- თ.გაზდელიანის და თ. გაზდელიანის 1 შესახვევი
- ახალდაბა მელიქიშვილის ქუჩა
- გ. დანელიას 1 გასასვლელი
- ტაბიძის ქუჩა
- ჭავჭავაძის 80
- ჭავჭავაძის ქ. 75/3-75/4
- ვაჟა-ფშაველას 4 კვ 3ა და 3ბ
- სიკო დოლიძის ქუჩა
- ნუცუბიძის პლატო 5 მკრ. კორპ. 6
- ნუცუბიძის 1 მიკრო, N5-N6
- წყნეთი გურამიშვილის 57
- ნუცუბიძის 3 მიკრო 1 კვ 8 კორპ
- ყაზბეგის 47-49
 - ვ.გორგასლის 1 შესახვევი
- ტ. ტაბიძის 1 შესახვევი
- ნუცუბიძის პლატო 4 მრ 22.23.24 კორპ
- ვაჟა-ფშაველას 4კვ 13 კორპ

- ჯიქიას N6
- ბეთანია რობაქიძის ქუჩა
- ჭავჭავაძის N72 და N74 შორის მოსაშვილზე ჩასასვლელი
- ტაბლიაშვილის ქუჩა
- ვაჟა-ფშაველას მე-2 კვ. კორპ. N27
- ვაკის პარკის მიმდებარე
- ჩხიკვაძის 21
- ბეთანია ჭავჭავაძის ქუჩა
- ჭავჭავაძის N17
- ზ.ფალიაშვილის N41 კორპ. ეზო
- კაკლები მშვიდობის ქუჩა
- კავსადის ქუჩა 7
- ბეთანია წერეთლის ქუჩა

- წყნეთი თამარ მეფის ქ N 30
- თხინვალა იპოდრომის მიმდებარედ
- პ. დათუაშვილის ქ. 25
- გ. სვანიძის ქ. 519
- თხინვალა კეჭაყმაძის 38
- ბეთანია ნოდარ დუმბაძის ქუჩა
- ნუცუბიძის პლატო აყარის ქუჩა
- წყნეთი მძლეეთის ქუჩა

- ორმოული სამუშაოები - 336,90 ,სულ 54715,54
- მიმდინარე სამუშაოები : სოფელი თხინვალა (3000 კვ.მ)

წყალარინება და წყალმომარაგების გაუმჯობესება

- სამაჟორიტარო ტერიტორიაზე სამუშაოები ჩატარდა შემდეგ 33 მისამართზე
:
- ✓ ვაჟა-ფშაველას მეორე კვარტალი 12 და 34 კორპუსი
- ✓ ვაჟა-ფშაველას მესამე კვარტალი 1ბ, 18, 22ა და 25 კორპუსი
- ✓ ვაჟა-ფშაველას მეოთხე კვარტალი 8 კორპუსი
- ✓ ვაჟა-ფშაველას მეექვსე კვარტალი 5ა და ბ კორპუსი
- ✓ ქავთარაძის 32, მე-4 შესახვევი მესამე კორპუსი
- ✓ ნუცუბიძის მეორე მიკრო რაიონი 3 კვარტალი 7 კორპუსი
- ✓ ნუცუბიძის მეოთე მიკრო რაიონი 1,2,3,6 კორპუსი
- ✓ ფალიაშვილის 10, 33ა, 66
- ✓ ჭავჭავაძის 11, 17, 75/9 კორპუსი
- ✓ წყნეთის ქუჩა 3, 3ა
- ✓ თამარაშვილის 3, 16
- ✓ ლორთქიფანიძის 10, 34
- ✓ ანჯაფარიძის 3
- ✓ მიქელაძის 1
- ✓ თავხელიძის 1
- ✓ წყნეთი, გაგრის 3 ჩიხი, 3 კორპუსი

- ✓ მიმდინარე : ჟღენტის 2 ა

- ლიფტის მონტაჟი

- ✓ ვაჟა-ფშაველას მეორე კვარტალი 29, 36 კორპუსი
- ✓ ვაჟა-ფშაველას მესამე კვარტალი 1ა, 1ბ და 22 კორპუსი
- ✓ ვაჟა-ფშაველას მეოთხე კვარტალი 2, 2ა კორპუსი
 - ✓ ვაჟა-ფშაველას მეშვიდე კვარტალი 4 და 6 კორპუსი
 - ✓ ვაჟა-ფშაველას 51 მე-12 კორპუსი
 - ✓ ნუცუბიძის პირველი მიკრო რაიონი 5 კორპუსი
 - ✓ ნუცუბიძის მეორე მიკრო რაიონი 2 კვარტალი 8 და 11 კორპუსი
 - ✓ ნუცუბიძის მესამე მიკრო რაიონი მეორე კვარტალი 5 კორპუსი და მესამე კვარტალი 10 კორპუსი
 - ✓ ნუცუბიძის მეოთხე მიკრო რაიონი 9 და 36 კორპუსი
 - ✓ ნუცუბიძის 215, 221 მეოთხე კორპუსი
 - ✓ უნივერსიტეტის 3
 - ✓ ქავთარაძის 34
 - ✓ წყნეთის ქუჩა 1,2,2ა
 - ✓ ჭავჭავაძის 11
 - ✓ ჭავჭავაძის 1 შესახვევი 6 კორპუსი
 - ✓ მოსაშვილის 5
 - ✓ რამიშვილის 2
 - ✓ ატენის 3, 25
 - ✓ კეკელიძის 19/3, 23/5 და 25/6
 - ✓ აბაშიძის 9, 29
 - ✓ ყიფშიძის 7გ, 16 მეორე კორპუსი
 - ✓ შროშის 16
 - ✓ მცხეთის ქუჩა 24

- ✓ გაბაშვილის 4
- ✓ ქობულეთის ქუჩა 3/15
- ✓ სულ გაკეთდა 41

- მიმდინარე :
- ✓ ნუცუბიძის პირველი მიკრო რაიონი 1
- ✓ ნუცუბიძის მეორე მიკრო რაიონი 1 კვარტალი 8ა კორპუსი
- ✓ ფალიაშვილის 64, 108
- ✓ ჭავჭავაძის 54
- ✓ აბაშიძის 42

გადახურვის სამუშაოები

- ✓ ვაჟა-ფშაველას პირველი კვარტალი 2 კორპუსი
- ✓ ვაჟა-ფშაველას მეორე კვარტალი 1, 12 კორპუსი
- ✓ ვაჟა-ფშაველას მესამე კვარტალი 14 კორპუსი
- ✓ ვაჟა-ფშაველას მეშვიდე კვარტალი 2 კორპუსი
- ✓ ნუცუბიძის 221/1, კორპუსი 5
- ✓ ნუცუბიძის პირველი მიკრო რაიონი, 11 კორპუსი
- ✓ ნუცუბიძის მეორე მიკრო რაიონი 1 კვარტალი 1 ბ კორპუსი და მეორე კვარტალი 9 კორპუსი
- ✓ ნუცუბიძის მესამე მიკრო რაიონი 1 კვარტალი 7 კორპუსი
- ✓ ნუცუბიძის მეოთხე მიკრო რაიონი 28ა და 29 კორპუსი
- ✓ ჟღენტის 2ა
- ✓ ბარნოვის 73
- ✓ ლორთქიფანიძის 10, 34

- ✓ წყნეთის ქუჩა 1, 4, 4ა, 14
- ✓ თამარაშვილის 11
- ✓ ყიფშიძის 10
- ✓ ქობულეთის 3/15
- ✓ ანჯაფარიძის 3
- ✓ შავგულიძის 7
- ✓ მინდელის 1
- ✓ ფალიაშვილის 66
- ✓ სააკაძის პირველი შესახვევი 2 კორპუსი
სულ - 28

სადარბაზოების შიდა რემონტი

- ✓ ვაჟა-ფშაველას მეოთხე კვარტალი 3ბ კორპუსი
- ✓ ნუცუბიძის მეოთხე მიკრო რაიონი 18 კორპუსი
- ✓ მოსაშვილის 4-16
- ✓ ჭავჭავაძის 72
- სულ - 5
- ✓ მიმდინარე : ბაგები 3 კორპუსი

კიბეები

- ✓ ნუცუბიძის პირველი მიკრო რაიონი 5 კორპუსი
- ✓ ქავთარაძის 32
- ✓ ყიფშიძის 2
- ✓ კეკელიძის 23/5
- ✓ მ. წყნეთელის ქუჩა გ ზონა 18
- ✓ წყნეთი, შერვაშიძის 14,18
- ✓ წყნეთი, გაგრის მესამე ჩიხი 3 კორპუსი

- სულ - 7

აივნები

- ✓ მიმდინარე : ნუცუბიძის პირველი მიკრო რაიონი 9, 10, 17
- ✓ ნუცუბიძის მეორე მიკრო რაიონი მესამე კვარტალი 2 კორპუსი
- ✓ ნუცუბიძის მესამე მიკრო რაიონი მეორე კვარტალი 8 კორპუსი

ნაპრალები

- ნუცუბიძის მეოთხე მიკრო რაიონი 14, 20, 21

სადარბაზოს კარი

- ✓ ბარნოვის 73ა
- ✓ ნუცუბიძის 3.3.11, 215/2
- ✓ ვაჟა-ფშაველას მეორე კვარტალი 6, 12 კორპუსი
- ✓ ყიფშიძის 2
- ✓ სულ - 6
- ✓ მიმდინარე (სულ 11) : ვაჟა-ფშაველას 52
- ✓ ვაჟა-ფშაველას მეორე კვარტალი 4
- ✓ ვაჟა-ფშაველას მესამე კვარტალი 7 კორპუსი
- ✓ ვაჟა-ფშაველას მეოთხე კვარტალი 23 კორპუსი
- ✓ ქავთარაძის 32, 4 შესახვევი 3 კორპუსი
- ✓ ნუცუბიძის 179
- ✓ ნუცუბიძის პირველი მიკრო რაიონი 14 კორპუსი

- ✓ ნუცუბიძის მეორე მიკრო რაიონი 3 კვარტალი 2 კორპუსი
- ✓ ნუცუბიძის მეხუთე მიკრო რაიონი 2 კორპუსი
- ✓ აბაშიძის 43
- ✓ შატბერაშვილის 4 კორპუსი 7

ტრანსპორტი

- ქალაქ თბილისის მერიის ურბანული განვითარებისა და ტრანსპორტის სააგენტოს მიერ გაანალიზებულ იქნა წარმოდგენილი პრობლემატური საკითხები და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მათი მოგვარების მიზნით, კერძოდ:
- მიკროავტობუსი 558 - ნუცუბიძის პირველი მიკრო რაიონი - დელისიდან 3 ერთეული, 12 წუთიანი ინტერვალით
- მიკროავტობუსი 505 - ამაშუკელის ქუჩის მომსახურება, მესამე მიკრო რაიონის მომსახურება და ონკოლოგიური საავადმყოფო-ლისის ტბის მომსახურება -
- ავტობუსი 298 - მეტროსადგური სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ქავთარაძის, ყაზბეგის, პეკინის და თამარ მეფის გამზირის გავლითსადგურის მოედნამდე -
- მიკროავტობუსი 537 - ნუცუბიძის მესამე - მეოთხე მიკრო რაიონების კავშირი -
- მიკროავტობუსი 476 - ნუცუბიძის ქუჩის სრული მომსახურება და მასთან ერთად მინდელის ქუჩა - მოძრაობს 8 ერთეული 6 წუთიანი ინტერვალით.

სკვერების მოწყობა

თანამედროვე სტანდარტების დასასვენებელი სივრცეები მოეწყო სამაჟორიტარო ტერიტორიაზე: თხინვალას, წყნეთის გზატკეცილი (49) ყაზბეგის (47-49) ქუჩაზე.

- სამუშაოები მიმდინარეობს შემდეგ მისამართებზე :
 - ✓ ვაჟა-ფშაველას მე-2 კვარტალი 14, 19 კორპუსები
 - ✓ ლორთქიფანიძის 34
 - ✓ წყნეთის ქუჩა 2-2ა
 - ✓ ჭავჭავაძის 37 და 83
 - ✓ მცხეთა და ქობულეთის კუთხე



სპორტული მოედნების მოწყობა

- სამაჟორიტარო ტერიტორიაზე არაერთი სპორტული მოედანი მოეწყო, მათ შორის :
- თხინვალა
- ყაზბეგის 47-49
- წყნეთის გზატკეცილი 49
- წყნეთი, ამილახვრის 23
- ჭავჭავაძის 33, 37 და 83
- ვაჟა-ფშაველას მე-2 კვარტალი მე-19 კორპუსი
- თავხელიძის 1
- ნუცუბიძის მე-2 მიკრო რაიონი მე-3კვარტალი მე-5 კორპუსი



სკოლამდელი აღზრდა

- ვაკის რაიონის N1, N27, N41, N44, N75, N82, N83, N85, N133, N137, N142, N192, N201 ბალებში დანერგილია მრავალი სიახლე, თანამედროვე მეთოდოლოგიური მიდგომები. განახლდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მაგრამ რჩება გამოწვევები, რომელთა დაძლევა ერთობლივი მუშაობით დაწყებულია.



➤ **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამებით სარგებლობის მიზნით წარმომადგენლობის მიერ პერიოდულად მზადდება შუამდგომლობები და ეგზავნება ვაკის რაიონის გამგეობას და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის უფლებამოსილ სამსახურს. შემოტანილი განცხადებების შესაბამისად ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწია 10 მოქალაქეს.

➤ **საცხოვრებელი ფართების დაკანონება**

სამაჟორიტარო ოლქში ერთ-ერთი აქტუალური საკითხია ფართების დაკანონება. ამ კუთხით წარმომადგენლობაში მოსახლეობის მხრიდან გრძელდება მომართვიანობა. სამაჟორიტარო ტერიტორიის სხვადასხვა მისამართებზე 56 ოჯახს უკვე დაუკანონდა ის საცხოვრებელი ფართები სადაც მრავალი წელი ცხოვრობდნენ :

- უნივერსიტეტის ქუჩა N2 (36 ოჯახი)
- ბაგების სტუდქალაქი (4 ოჯახი)
- წყნეთი (4 ოჯახი)
- ნუცუბიძის მე-4 მიკრო რაიონი N55 (4 ოჯახი)
- პოლიტკოვსკაიას ქუჩა (6 ოჯახი)
- ნუცუბიძის ქუჩა N56 (1 ოჯახი)
- ბაგების სტუდქალაქის მიმდებარედ (1 ოჯახი)

საცხოვრებელი ფართების პრივატიზების პროცესი კვლავ გრძელდება და განიხილება 20 ოჯახის საკითხი.

- სახალხო დღესასწაულს „წყნეთობა 2022“-ს დაესწრო ტრადიცია გრძელდება და ჩვენ ამჯერადაც, სექტემბრის პირველივე კვირას, წყნეთში სახალხო დღესასწაულს აღვნიშნავთ. სასიამოვნოა დღეს აქ შეკრებილ ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრა და გახარებული ბავშვების ნახვა. ბევრი რამ გაკეთდა წყნეთისთვის და კიდევ ბევრი გაკეთდება, რადგან მოსახლეობა უფრო მეტს იმსახურებს. ჩვენ, ერთობლივი ძალისხმევით შევძლებთ, ეს ულამაზესი დაბა კიდევ უფრო განვითარებული გავხადოთ“, - განაცხადა გიორგი ტყემალაძემ.

სახალხო დღესასწაულზე საბავშვო გასართობი ღონისძიებებიც მოეწყო.

